საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები

დამტკიცებულია

რექტორის 2020 წლის 20 ივლისის №412 ბრძანებით

თბილისი
2020

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - სეუ) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტური და თანმიმდევრული პოლიტიკის წარმართვის მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს სეუ-ს საკუთარი მისიის შესრულებაში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა უწყვეტი და დინამიური პროცესია, რომელშიც ჩართულია სეუ-ს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.

ინტერნაციონალიზაციის პროცესი

სეუ განიხილავს ინტერნაციონალიზაციას როგორც ერთიან პროცესს, რომელიც ხორციელდება საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სფეროში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეყრდნობა სეუ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების ორიენტირებს და ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად პარადიგმებს, რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც ბოლონიის პროცესს. ინტერნაციონალიზაცია და მობილობის ხელშეწყობა ბოლონიის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილებია, შესაბამისად, სეუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შექმნილია როგორც სეუ-ს საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებისათვის საჭირო ქმედებების გზამკვლევი, რაც, თავის მხრივ, განიხილება როგორც სწავლების, კვლევის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის სხვა ინსტრუმენტების ერთობლიობა, სადაც აქცენტი კეთდება საერთაშორისო პარტნიორობის კონსოლიდაციასა და გაფართოებაზე, საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერნაციონალიზაციის ელემენტების დანერგვაზე, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე, ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარებასა და საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ეს ყოველივე მიმართულია იმისკენ, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს ერთგვარი საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და სეუ-ს კურსდამთავრებული, მისი მისიის შესაბამისად, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბდეს. ამ თვალსაზრისით, სეუ, ასევე იყენებს მიდგომას - „ინტერნაციონალიზაცია სახლში“ (Internationalization at Home).

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა სტრუქტურირებულია მთავარ მიმართულებებად, შემდეგი სახით:

❖ საერთაშორისო პროფილის შექმნა, ცნობადობის ამაღლება

სეუ-ს საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ადგილის დამკვიდრება მისი გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილია. ამ მიზნის რეალიზაცია ხელს შეუწყობს არა მარტო სეუ-ს, არამედ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ცნობადობის გაზრდასა და მისდამი ნდობის ამაღლებას, ქვეყანაში მეტი უცხოელი სტუდენტისა და მეცნიერის მოზიდვას. ასევე, ეს პროცესი სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ურთიერთობის ჩამოყალიბების მეტ შესაძლებლობას გააჩენს. აღნიშნული მიმართულებით დასახული მიზნების განხორციელება შემდეგ ქმედებებს მოიცავს:

1) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან თანამშრომლობის დამყარება და გაღრმავება;
2) საერთაშორისო ასოციაციების წევრობა და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა;
3) განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, ახალი ბაზრების ათვისება და სეუ-ს პოპულარიზაცია.

❖ პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

სეუ ისწრაფვის საგანმანათლებლო პროგრამებში შეიტანოს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტებია უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება, რაც, სხვა მრავალ აქტივობასთან ერთად, გულისხმობს:

1) პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტიური მუშაობის დაწყება და პროგრამების კურიკულუმის თავსებადობის ანალიზი, პროგრამის ხელმძღვანელებისა და აფილირებული პროფესორების აქტიური მონაწილეობით ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმირება;
2) როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება, რაც გულისხმობს სამუშაო ჯგუფის შექმნასა და საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართულებით მუშაობის დაწყებას, ამ პროცესში პროგრამის ხელმძღვანელების, აფილირებული პროფესორებისა და უცხოელი პარტნიორების აქტიურ ჩართულობას;
3) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განახლების პროცესში საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გათვალისწინება;
4) უცხოენოვანი (ძირითადად ინგლისურენოვანი) სასწავლო კურსების ინტეგრაცია მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში და მათი სტუდენტებისათვის შეთავაზება;
5) სტუდენტების გაცვლითი სემესტრების ორგანიზება;
6) დისტანციური სწავლების დანერგვა და ადმინისტრირება.

❖ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

უცხოელ მკვლევარებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობას და აქტიურ მუშაობას ხელს უწყობს საკომუნიკაციო არხების გამრავალფეროვნება და საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ აკადემიური და სამეცნიერო მიღწევებისათვის აუცილებელია უცხოელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების, დებატებისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების შექმნა.

აქედან გამომდინარე, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და უცხოელ პარტნიორებთან კოლაბორაცია უკიდურესად მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

1) საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, სამეცნიერო გრანტების მოზიდვა;
2) საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის დაფინანსების/თანადაფინანსების მოძიება;
3) საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება;
4) აკადემიური პერსონალის მხარდამჭერი პროგრამების (სტაჟირება, ერთობლივი კვლევები და ა.შ.) ხელშეწყობა და განხორციელება;
5) ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება.

❖ სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ორმხრივი მობილობის უზრუნველყოფა

სეუ, პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტიური თანამშრომლობით, ხელს უწყობს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას პარტნიორ უნივერსიტეტებში, როგორც დონორის მიერ დაფინანსებული (Erasmus +), ასევე, უნივერსიტეტებს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.

სეუ-ს, საერთაშორისო ინსტიტუციური თანამშრომლობითა და სტრატეგიული პარტნიორებით შეუძლია როგორც უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების მოზიდვა, ასევე საკუთარი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის უცხოური გამოცდილების შეთავაზება. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

1) უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა, სასწავლო პროგრამების შესაბამისი ლექცია/სემინარის ჩასატარებლად;

2) აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა პარტნიორ უნივერსიტეტებში პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად, რაც, თავის მხრივ, როგორც კვლევითი, ისე სწავლების კომპონენტის გაძლიერებას შეუწყობს ხელს;
3) უცხო ენების კომპონენტის გაძლიერება როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის;
4) ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით;
5) სტუდენტების ჩართვა გაცვლით პროგრამებში, პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების საფუძველზე;
6) მოწვეული უცხოელი პროფესორების მიერ საჯარო ლექციების ჩატარება, სტუდენტებისათვის აქტუალური ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
7) საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, სტუდენტებისა და პერსონალისათვის პროექტებში (Erasmus+ ან/და სხვ.) მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
8) პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქტიური თანამშრომლობით (Erasmus+ ან/და სხვ.) დაფინანსების მოპოვებაზე განაცხადების ერთობლივად წარდგენა.

❖ უცხოელი სტუდენტების მოზიდვა

სეუ მუდმივად მუშაობს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე, რაც მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

1) საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა;
2) საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირების სააგენტოებთან თანამშრომლობა;
3) უცხოელ სტუდენტებზე მორგებული სერვისების მიწოდება;
4) უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში სრული ინტეგრაციისა და გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა;
5) სტუდენტების კულტურული, კურიკულუმის გარე ღონისძიებების ორგანიზება;
6) სეუ-ში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ქართულ და ინგლისურ ენაზე, ვებგვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით;
7) ხანგრძლივი ურთიერთობის ფორმირება უცხოელ კურსდამთავრებულებთან, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით.

ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული მხარეები

სეუ-ში ინტერნაციონალიზაციის პროცესი მრავალ სხვადასხვა მიმართულების სამუშაოს მოიცავს, შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის პროცედურების განხორციელებაში

ჩართულია როგორც სეუ-ს ხელმძღვანელობა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და ფაკულტეტები, ასევე, სეუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეული თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების იმპლემენტაციას კოორდინაციას უწევს ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური.

ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება

სეუ-ს ამოცანებია, რომ მოცემული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარების შედეგად მიაღწიოს შემდეგ მიზნებს:

1) სწავლა/სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება;
2) საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით სივრცეში პროფილის ამაღლება;
3) ინსტიტუციური ზრდა და განვითარება;
4) უცხოეთის რეიტინგულ უნივერსიტეტებთან სტრატეგიული პარტნიორობა.

ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასება

ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებია:

1) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების რაოდენობისა და გაცვლითი პროგრამებში ჩართული პირების (სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის) რაოდენობის ზრდის ტენდენცია როგორც წასვლის, ისე ჩამოსვლის კუთხით;
2) გაცვლითი (ორმხრივი) საგანმანათლებლო პროგრამების ზრდის ტენდენცია;
3) საგანმანათლებლო პროგრამებში პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის ჩართულობის ზრდის ტენდენცია;
4) საერთაშორისო დონეზე დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ზრდის ტენდენცია;
5) საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ზრდის ტენდენცია;
6) საერთაშორისო კონფერენციების ზრდის ტენდენცია;
7) სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია;
8) საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობისა და ქვეყნების მიხედვით დივერსიფიკაციის ზრდის ტენდენცია.

უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ მხარს უჭერს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის საგანმანათლებლო პოლიტიკას და თავის საქმიანობას წარმართავს ბოლონიის პროცესზე დაყრდნობით, რომლის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის ხელშეწყობა, რაც, ასევე, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით კულტურულად მრავალფეროვანი სასწავლო გარემო მნიშვნელოვანია, რადგან ამზადებს სტუდენტს XXI-ე საუკუნეში ცხოვრებისა და გლობალური კარიერისათვის. ხშირ შემთხვევაში, უნივერსიტეტი არის პირველი ადგილი, სადაც სტუდენტს ეძლევა შანსი ისწავლოს და იმუშაოს ისეთ ადამიანებთან, რომლებიც არ არიან თავიანთი სოციუმისა და კულტურული წარმომავლობის ნაწილი. გარდა ამისა, ლექციებს უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის ერთ სასწავლო სივრცეში მრავალი სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის სტუდენტის არსებობა და გამოცდილების გაზიარება. სეუ, ამ თვალსაზრისით მუდმივად მუშაობს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე, რაც შემდეგ ქმედებებს ითვალისწინებს:

- √ მარკეტინგული მასალების მომზადება, სტრატეგიულ საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა და შესაბამის აუდიენციაზე ადაპტირება;
- √ საერთაშორისო სააგენტოებთან თანამშრომლობა, რომელთა საქმიანობა ითვალისწინებს სტუდენტების მოზიდვასა და უნივერსიტეტის პოპულარიზაციას;
- √ რეგულარული ვიზიტების განხორციელება იმ ქვეყნებში, საიდანაც ხდება სტუდენტების მოზიდვა, ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობადობის ამაღლების თვალსაზრისით;
- √ უცხოელ სტუდენტებზე მორგებული სერვისების მიწოდება;
- √ უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში სრული ინტეგრაციისა და გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა;
- √ კურიკულუმის გარე აქტივობების ორგანიზება, რაც თანხვედრაშია უცხოელი სტუდენტების კულტურასთან, მაგ., ღონისძიებები, რომლებიც ტარდება რამადანის, ნავრეჰის, ნოვრუზის აღსანიშნავად;
- √ უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ქართულ და ინგლისურ ენაზე, ვებგვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით;

- √ ხანგრძლივი ურთიერთობის ფორმირება უცხოელ კურსდამთავრებულებთან, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საშუალებით.

❖ პასუხისმგებლობების განსაზღვრა უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და მიღებაზე

უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მიღება სეუ-ს საერთო პასუხისმგებლობაა, რაც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით უნდა განხორციელდეს, მათი ფუნქციური უფლება-მოვალეობების ფარგლებში. ამ პროცესში ჩართულია შემდეგი სამსახურები:

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური - პასუხისმგებელია უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე და ამ მიმართულებით ახორციელებს ურთიერთობების მენეჯმენეტს სეუს სტრუქტურულ ერთეულებს, პერსპექტიულ სტუდენტებს/ აპლიკანტებს და რეკრუტირების სააგენტოებს შორის. სამსახური უზრუნველყოფს:

- √ არსებულ რეკრუტირების სააგენტოებთან თანამშრომლობა და ახლის მოძიება;
- √ საჭიროების შემთხვევაში, ახალი ქვეყნის დასაფარად, სეუ-ს აღიარების მოპოვება შესაბამისი ადგილობრივი ორგანოებიდან;
- √ სეუ-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდება (საგანმანათლებლო პროგრამების, ფასის პოლიტიკის, აკრედიტაცია/ავტორიზაციის და სხვ) პოტენციური უცხოელი სტუდენტის, ან რეკრუტირების სააგენტოსათვის;
- √ ფაკულტეტის პერსონალის ინსტრუქტირება უცხოელი სტუდენტის მოზიდვისა და მიღების შესახებ;
- √ ტრენინგების ჩატარება სტუდენტის მოზიდვისა და მიღების პროცესში ჩართული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;
- √ უცხოელი პოტენციური სტუდენტების ინფორმირება საქართველოში ცხოვრების პირობების შესახებ;
- √ მიღების პროცესში აპლიკანტთან მუდმივი კომუნიკაციის წარმოება;
- √ შესაბამის ფაკულტეტთან ერთად აპლიკანტების ინტერვიუირება;
- √ კურიკულუმის გარე აქტივობების ორგანიზება, რაც თანხვედრაშია უცხოელი სტუდენტების კულტურასთან;
- √ ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

ფაკულტეტები:

- √ განსაზღვრავს აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები;
- √ განსაზღვრავს მისაღები კონტიგენტის რაოდენობას;
- √ პოტენციური სტუდენტებისათვის უზრუნველყოს დაზუსტებული და რელევანტური ინფორმაციის მიწოდება შეთავაზებულ მოდულებთან/კურსთან/

პროგრამასთან დაკავშირებით, სელექციის წესთან, შეფასების კრიტერიუმებთან და მიღების პროცედურასთან დაკავშირებით;

- √ გააცნოს პერსპექტიულ სტუდენტებს აკადემიური გადაწყვეტილებები და შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს მათთან უკუკავშირი.

სერვისების სამსახური:

- √ უცხოელი სტუდენტების საორიენტაციო შეხვედრის უზრუნველყოფა და მათი გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა;
- √ უცხოელი სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა.

კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულების სამსახური - შეიმუშავებს ტაქტიკას რათა მოახდინოს ხანგრძლივი ურთიერთობის ფორმირება უცხოელ კურსდამთავრებულებთან

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური:

- √ სეუ-ს მარკეტინგ მასალების მომზადება, რომელიც ორიენტირებულია უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე;
- √ სეუ-ს საპრომოციო კამპანიის მართვა ვებგვერდისა და სოციალური მედიაარხების საშუალებით.

❖ უცხოელი სტუდენტების მოზიდვის პროცესში ჩართული მხარეები

- √ სტუდენტების მოზიდვის მიზნით, სეუ გამოიყენებს პროექტის „Study in Georgia" შესაძლებელობებს;
- √ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, ფორუმებში;
- √ მონაწილეობას მიიღებს პარტნიორი რეკრუტირების სააგენტოების მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში და სემინარებში.

❖ უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზანი

უცხოელი სტუდენტების მოზიდვა სეუ-ში ემსახურება ორ მიზანს:

- √ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების ხელშეწყობა და სეუ-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციონირება;
- √ უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური სეუ-სთვის წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის წყაროს, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს განავითაროს ინფრასტრუქტურა და განაახლოს ტექნოლოგიები.

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესი და პროცედურები

საქართველოს ეროვნული უნივერიტეტი სეუ-ს მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების და კანდიდატების შერჩევის კოორდინირებას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, შემდეგი პროცედურების გათვალისწინებით:

❖ ინფორმაციის განთავსება

გაცვლითი პროგრამების საკონკურსო პირობების, პროცედურებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ელექტრონულ პორტალზე (emis.seu.edu.ge, reg.seu.edu.ge), ასევე, ვრცელდება ელ-ფოსტისა და სოციალური მედიის მეშვეობით. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური გამოცხადებული კონკურსის შესახებ ჩაატარებს საინფორმაციო შეხვედრებს დაინტერესებულ კანდიდატებთან. ინფორმაცია შეხვედრის შესახებ გავრცელდება ზემოთ მითითებული გზით.

❖ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები ინგლისურ ენაზე:

- სამოტივაციო წერილი;
- CV (Europass ფორმატი - https://europa.eu/europass/en/create-europass-cv);
- აპლიკანტის 2 ლექტორის სარეკომენდაციო წერილი;
- ინგლისური ან (გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული სხვა ენის) დამადასტურებელი სერტიფიკატი (თუ სტუდენტს დასრულებული აქვს B2 დონე სეუ-ში - სერტიფიკატის წარმოდგენა არ არის საჭირო);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი (ელ.ვერსია);
- შესაბამისი კონკურსით გათვალიწინებული სხვა დოკუმენტაცია

❖ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- კონკურსის მიმდინარეობისას უნდა ჰქონდეს სეუ-ს აქტიური სტუდენტის სტატუსი და სწავლობდეს შესაბამისი საფეხურის პროგრამზე;
- კანდიდატმა განაცხადი უნდა შეიტანოს იმ საფეხურის მობილობაზე, რომელზეც კონკურსის მიმდინარეობისას ირიცხება;
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის და აკადემიური მოსწრების დონე;

- კანდიდატს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს ყველა სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც მითითებულია სეუ-ს მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებაში.
- კანდიდატები ვალდებულნი არიან დაიცვან საკონკურსო პირობები, პროცედურები და ვადები. განაცხადში დაუშვებელია ნებისმიერი ტიპის ცვლილების შეტანა კონკურსის დასრულების შემდეგ, დაგვინებული აპლიკაციების განხილვა არ მოხდება.

❖ სტუდენტების შერჩევის პროცედურა

აპლიკაციების მიღების დასრულების შემდეგ, კანდიდატების შერჩევა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მხრიდან მოხდება შემდეგი ეტაპების გავლით:

1. **სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა და შეფასება** - ამ ეტაპის მიზანია თითოეული აპლიკანტის განაცხადის ვალიდურობის დადგენა, რათა მიღებული საბუთები შეესაბამებოდეს კონკურსის მოთხოვნებს. ამ ეტაპზე მოწმდება წარმოდგენილია თუ არა ყველა სავალდებულო დოკუმენტი და სტუდენტის აკადემიური მოსწრება აკმაყოფილებს თუ არა საკონკურსო მოთხოვნებს;
2. **გასაუბრება კომისიასთან** - ამ ეტაპის მიზანია კანდიდატის მოტივაციის, მიღებული ცოდნის გამოყენების პერსპექტივების დადგენა. გასაუბრების კომისია შედგება 3 წევრისგან: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი, ფაკულტეტის მიერ ნომინირებული აკადემიური პერსონალი და იმ უცხო ენის სპეციალისტი, რომლითაც სტუდენტმა უნდა გააგრძელოს სწავლა პარტნიორ უნივერსიტეტში. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად აფასებს კანდიდატს და საბოლოო პასუხის მიღება ხდება ღია კენჭისყრის საშუალებით;
3. **კანდიდატთა ნომინირება პარტნიორ უნივერსიტეტში** - ამ ეტაპზე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საბოლოო შერჩევისთვის, პარტნიორ უნივერსიტეტს დადგენილ ვადაში უგზავნის ნომინირებული კანდიდატების სიას და სააპლიკაციო დოკუმენტებს. საბოლოო შერჩევა ხდება პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ.

იმ სტუდენტების ინფორმირებას, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ შერჩევის კრიტერიუმებს და გამოეთიშებიან კონკურსს, უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. სტუდენტებს ინფორმაცია გაეგზავნებათ უნივერსიტეტის ელ-ფოსტიდან.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა ვერ გადალახა კომისიასთან გასაუბრების ეტაპი, უფლება აქვს შემთხვევა გაასაჩივროს უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რის შემდეგაც მოხდება კანდიდატის აპლიკაციის დამატებითი განხილვა. საჭიროების შემთხვევაში, დაინიშნება გასაუბრება კომისიის განახლებული შემადგენლობით.

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსით გათვალისწინებულ აპლიკანტთა რაოდენობა

ლიმიტირებულია და აპლიკანტებს აქვთ ინდენტური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს;

იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტებს აქვთ თანაბარი აკადემური მოსწრება უპირატესობა მიენიჭება ენობრივ კომპეტენციაში უფრო მაღალი ქულის მქონე სტუდენტს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები არცერთი ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით არ განსხვავდებიან, მათი შერჩევა მოხდება გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით.

მასპინძელი უნივერსიტეტიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით (ელ. ფოსტით) აცნობოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, მისი საბოლოო დასტური - მონაწილეობა მიიღოს გაცვლით პროგრამაში. აღნიშნული ვადის დარღვევა სტუდენტის მხრიდან აღიქმება როგორც უარი და მობილობის შესაძლებლობა ავტომატურად გადაეცემა სარეზერვო სიით შემდეგ კანდიდატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

❖ სასწავლო ხელშეკრულება

კონკურსის შედეგად შერჩეული სტუდენტი ვალდებულია მოამზადოს სასწავლო ხელშეკრულება მასპინძელ უნივერსიტეტში გამგზავრებამდე.
სასწავლო ხელშეკრულების ხელმოწერით დადასტურება სეუ-ს მხრიდან მოხდება სტუდენტის სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის შუამდგომლობით. სტუდენტმა უნდა გამოგზავნოს შევსებული ხელშეკრულება, არჩეული საგნების მითითებით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ელ-ფოსტის მისამართზე. სამსახური შეათანხმებს მითითებულ საგნებს სტუდენტის პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტს დაუბრუნებს პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებულ შეთანხმებას. ამის შემდეგ სასწავლო ხელშეკრულებას ხელს აწერს თავად სტუდენტი და მასპინძელი უნივერსიტეტი, რის შემდეგაც სტუდენტი ვალდებულია დაუბრუნოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ხელშეკრულების ელექტრონული ვერსია.

❖ კრედიტების აღიარება

გაცვლითი პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მასპინძელ უნივერსიტეტში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება სეუს შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით.

გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე, მოახდინოს მიღებული კრედიტების აღიარება შესაბამისი წესით დადგენილი პროცედურების მიხედვით. საგნების ჩათვლა მოხდება სეუ-ს შეფასების

სისტემის მიხედვით, შესაბამისად, საგნებს მიენიჭებათ სეუ-ს შესაბამისი საგნისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა.

კრედიტების აღიარების მიზნით, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი და საბოლოო, ორმხრივად ხელმოწერილი სასწავლო ხელშეკრულება.

❖ გამგზავრების კოორდინირება

გაცვლითი პროგრამის პერიოდში სეუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური თითოეულ სტუდენტზე გამოყოფს კოორდინატორს, რომელიც მთელი პროგრამის განმავლობაში წარმოადგენს სეუ-ში სტუდეტის საკონტაქტო პირს. სეუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მოითხოვს იგივეს პარტნიორი უნივერსიტეტისგან.

მასპინძელი უნივერსიტეტი სეუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის შუამდგომლობით ეხმარება სტუდენტს საცხოვრებლის მოძიებაში. სტუდენტის გამგზავრებამდე, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ატარებს საორიენტაციო/საინფორმაციო შეხვედრას კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებთან, სადაც ჩართულია გასულ წლებში იგივე პროგრამით მოსარგებლე სტუდენტები, მასპინძელი უნივერსიტეტის წარმომადგენელი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი.

ბილატერალური შეთანხმების ფარგლებში, სტუდენტი არ იხდის სწავლის საფასურს არც სეუში და არც მასპინძელ უნივერსიტეტში, თუმცა ანაზღაურებს სავიზო, საცხოვრებელ და სამოგზაურო ხარჯებს.